

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N030/11¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი თომა ჯაჯანიძე

ფაქტები:

ქ.ო-სა (შემდგომში კლიენტი) და შ.ვ-ს (შემდგომში ადვოკატი) შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სამოქალაქო სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით, მაგრამ ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი. ადვოკატს უნდა წარედგინა შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე 2010 წლის 10 მაისის ჩათვლით. ადვოკატისათვის ცნობილი იყო შესაგებლის წარუდგენლობის გამო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი შედეგები, მან არ წარადგინა შესაგებელი და სასამართლომ შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება კლიენტის საწინააღმდეგოდ. ადვოკატმა მხარეს პირობა მისცა, რომ გაასაჩივრებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, მაგრამ კვლავ არაფერი მოიმოქმედა მისი ინტერესების დასაცავად. ამასთან, რადგან კლიენტს არ გააჩნდა სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ანაზღაურების საშუალება (სასამართლო ხარჯები 250 ლარი და გადაწყვეტილებით დაკისრებული 5000 ლარის 7% - 350 ლარი) სასამართლოს გადაწყვეტილება იძულებითი აუქციონის გზით აღსრულდა, აღნიშნულს შედეგად მოჰყვა, სასამართლო აღმასრულებლის მიერ საოჯახო ნივთების დაყადაღება და მათი გასხვისება აუქციონის გზით.

პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატის მიმართ დევნა აღიძვრა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა, ბ, ე“ ქვეპუნქტების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლების შესაძლო დარღვევის გამო.

სამართლებრივი შეფასება:

კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას ასევე წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი). დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობა, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული მოწმობის შესაბამისად, განსაზღვრული მიმართულებით.

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისათვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება.

მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებისა და რწმუნებულების საფუძველზე კლიენტმა გამოთქვა მზადყოფნა გადაეცა ადვოკატისათვის უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, ადვოკატმა აიღო ვალდებულება წარმოედგინა კლიენტის ინტერესები და განეხორციელებინა კლიენტის უფლებების სათანადო დაცვა. ადვოკატმა გამოიჩინა გულგრილობა კლიენტის საქმის წარმოებისას, რითაც მნიშვნელოვნად დააზარალა კლიენტი და მატერიალური ზიანი მიაყენა მას.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c4722ca469d0.pdf/5c4722ca469d0.pdf>



დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე და მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 2 (ორი) წლის ვადით.